საქართველოს გარემოს დაცვისა სოფლის

მეურნეობის მინისტრს

ბ-ნ ოთარ შამუგიას

მერაბ ვასაძის (33001005109)

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო ოთარ, გვსურს მოგმართოთ თხოვნით, გაგვიწიოთ დახმარება წყლის ზედაპირული მოპოვების სკრინინგში, ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, კერძოდ სოფ. ბაილეთში.

მე მერაბ ვასაძე, რომელიც უკვე მეორე წელია აქტიურად ვარ ჩართული მოცვის გაშენებისა და განვითარების პროექტში, სადაც ასევე არის თქვენი სამინისტროს ჩართულობა, რადგან ჩვენი პროექტი განხორციელებულია სოფლის მეურნეობის სამინისტროს „აწარმოე საქართველოში" პროექტით. ჩვენი ჩართულობითა და თქვენი დახმარებით უკვე გაშენებული გვაქვს 5 ჰა მიწის ფართობზე მოცვის პლანტაცია, რომლის გაფართოებასაც ვგეგმავთ მომავალში.

ჩვენი მთავარი ამოცანაა ამ ტერიტორიის განვითარების შენარჩუნება, რომელიც დავიწყეთ სამინისტროს დახმარებით. ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არ გავჩერდეთ და მაქსიმალურად, სახელმწიფოსთან ერთად შევქმნათ და გავაჩინოთ სტაბილური სამუშაო ადგილები.

წყალი, ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი დეტალია, რომ შეძლოს სრულფასოვნად ფუნქციონირება და იმ გეგმების შესრულება, რომელიც დაგვეგმეთ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად. მოგეხსენებათ, მოცვი არის მცენარე, რომელსაც სჭირდება მუდმივად წყლის მიწოდება, რომ შეძლოს იმ ნაყოფის წარმოქმნა, რაც როგორც ჩვენთვის ასევე, სახელმწიფოსთვისაც მნიშვნელოვანია.

იმედი გვაქვს, გაითვალისწინებთ ჩვენს ზემოთ ხსენებულ საკითხებსა და არგუმენტებს და დაგვეხმარებით წყლის ზედაპირული მოპოვების ნებართვის აღებაში.

მიმაგრებული ფაილით გიგზავნით დოკუმენტაციასა და წერილებს.

პატივისცემით,

მერაბ ვასაძე

საკონტაქტო პირი: მერაბ ვასაძე 599 98 77 75

მ. ვ

№ 11420
06 05 2022